

შპმ ბავშვთა შვილობილობისა და მინდობითი აღზრდის სერვისში
განთავსების სტატისტიკის კვლევა საქართველოში

მარიამ ბალიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალურ სამუშაოში მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

სარჩევი:

1. თავფურცელი.....	0
2. აბსტრაქტი.....	2
3. შესავალი.....	5
4. კვლევის საჭიროება.....	7
4.1. კვლევის მიზნები.....	8
4.2. კვლევის ჰიპოთეზა.....	8
5. ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
5.1. ძირითადი ტერმინების განმარტება.....	9
6. სტიგმატიზაცია.....	12
7. სტატისტიკური მონაცემები.....	17
7.1. სტატისტიკის ანალიზი.....	24
8. საერთაშორისო გამოცდილება.....	33
9. დასკვნა.....	34
10. ძირითადი რეკომენდაციები.....	36
11. გამოყენებული ლიტერატურა.....	39

აბსტრაქტი

ბავშვის შვილად აყვანის თემა საქართველოში ყველა დროის პრობლემაა. აქედან გამომდინარე, მშვილბელ ოჯახებს რეგისტრაციის დღიდან მრავალწლიანი ლოდინი უწევდათ. მსურველთა რაოდენობა დიდია, ხოლო გასაშვილებელი ბავშვების რაოდენობა საკმაოდ მცირე. ამიტომ, პრობლემის გასაჭრელად მოქალაქეები ოფიციალურ პროცედურებს თავს არიდებდნენ და პრივატულ წრეებში ეძებდნენ გასაშვილებლებს. ამ პროცესის მონიტორინგი და მენეჯმენტი დაევალა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპს სოციალური მომსახურების სააგენტოს. კანონის ცვლილების შედეგად გაშვილების პროცესი გამარტივდა, ეფექტური ცვლილებები კი იგეგმება სამომავლოდ.

მას შემდეგ, რაც კანონში შევიდა ცვლილებები, შვილად აყვანის პროცესი შედარებით გამარტივდა. მოწესრიგდა ეს ინსტიტუცია და პროცესი ერთიან მექანიზმში მოექცა. ბავშვთა სახლები გადატვირთული იყო ბავშვებით, რადგან სხვა ალტერნატივა უახლოეს წარსულში არ იყო. დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, დიდი ზომის ზრუნვის დაწესებულებები დაიხურა. იქ აღსაზრდელები სხვადასხვა სერვისით იქნენ უზრუნველყოფილნი. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია ყველა ბავშვისთვის გასაშვილებელის სტატუსის მინიჭება. სოციალური მუშაკის მიერ უნდა მომზადდეს შეფასება, რომლის საფუძველზეც გაირკვევა თუ რა სახის მომსახურების შეთავაზებას საჭიროებს. თუ ბავშვს სტატუსი არ აქვს, მისი გაშვილება აკრძალულია. სტატუსის მინიჭება¹ ხდება მაშინ, თუ:

- გარდაცვლილი ან დაკარგული ჰყავს მშობლები და ეს აღიარებულია სასამართლოს მიერ.
- ბავშვებს, რომელთაც ჰყავთ ემედუუნარო მშობლები ან მშობლები, რომლებიც თანხმობას აცხადებენ ბავშვის გაშვილებაზე.

¹ http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/36.pdf

- ბავშვი, რომელიც არის მიტოვებული.

მხოლოდ ეს კრიტერიუმები შეიძლება გახდეს ბავშვის გაშვილების საფუძველი. (იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება დაკარგული მშობელი, რომელსაც ექნება გაუჩინარების საპატიო მიზეზები, ანუ ის დაკარგული იყო მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, მას აღუდგება უფლებები ბავშვზე). მას შემდეგ, რაც ბავშვს ენიჭება სტატუსი, იწყება გაშვილების პროცედურა. არსებობს მშვილებელ კანდიდატთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებულნი არიან ის ადამიანები, ვისაც განცხადებული აქვთ ბავშვის შვილად აყვანის სურვილი. მშვილებელი არ უნდა იყოს ნასამართლელი, უნდა ჰქონდეს ბავშვის გაზრდისთვის შესაბამისი გარემო, უნდა შეეძლოს სტრესთან გამკლავება, ბავშვებთან ურთიერთობა და ასე შემდეგ.

არსებობს ასევე შეზღუდვები ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით²:

- აკრძალულია 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის გაშვილება მისი თანხმობის გარეშე;
- აკრძალულია შვილად აყვანის მიზნით, ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ ქმედებაში ხელის შეწყობა;
- აკრძალულია გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საჯარო განცხადებით ძებნა ან შეთავაზება. გამონაკლისია საჯარო განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შვილად აყვანის საკითხებზე უნდა მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ორგანოს. ასეთ განცხადებაში არ მიეთითება გასაშვილებელი ბავშვის ვინაობა;
- შვილად აყვანა არ შეიძლება პირობით, ვადის მითითებით ან წარმომადგენლის მეშვეობით. შვილად აყვანის დროს მშვილებელს უფლება აქვს, ისარგებლოს

² http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=498

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი პირის იურიდიული მომსახურებით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეს - მიმღები ქვეყნის შვილად აყვანის საქმეებზე უფლებამოსილი ორგანოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი - სხვა შესაბამისი აკრედიტებული იურიდიული პირის მომსახურებით;

- მშვილგებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები. საპატიო მიზეზის არსებობისას, სასამართლომ შესაძლებელია შეცვალოს ეს ასაკობრივი სხვაობა;
- დედინაცვლის/მამინაცვლის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს არ მოქმედებს დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვა;
- დაუშვებელია და-მმის, დების ან/და-მმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს;

ალტერნატიული ზრუნვის ერთ-ერთი ფორმა: მინდობითი აღზრდა. ამ მომსახურებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები 0-დან 18 წლამდე, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს არ მიენიჭა გასაშვილებელი სტატუსი და მაინც საჭიროებს სახელწმიფო ზრუნვის ორგანოში განთავსებას და ასევე, თუ გონივრულ ვადაში ვერ ხერხდება ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, კრიზისული შემთხვევების მართვა და იკვეთება დაუყონებლივი რეაგირების საჭიროება.